ონის მუნიციპალიტეტის მერია

ონის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება

ქ. ონი

N 857
20/05/2018

857-02-4-201805202235

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის
„ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის“
წესდების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 106[1] მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტისა და მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის“ (ს/კ 237978391) ახალი წესდება თანდართული რედაქციით.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ონის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 12 იანვრის N17 ბრძანებით დამტკიცებული წესდება.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს თანახმად.

ემზარ საბანაძე

მუნიციპალიტეტის მერი

დამტკიცებულია
ონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის
20 მაისის N 857 ბრძანებით

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
„ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა“

წესდება

მუხლი1. ზოგადი დებულება

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა“ შემდგომში „ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა“ არის ონის მუნიციპალიტეტის მერის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

2. “ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკას“ აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, დამოუკიდებელი საბანკო ანგარიშები, საკუთარი ბეჭედი და არსამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

3. “ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა“ დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ.

4. “ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის“ საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება ამ წესდებით და ბიბლიოთეკის შინაგანაწესით.

5. „ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა“ მუშაობაში ხელმძღვანელობს „საქართველოს კონსტიტუციით“, კოდექსით „ადგილობრივი თითმმართველობის შესახებ“, კანონებით „კულტურის შესახებ“, „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, რომლებიც შეეხება ბიბლიოთეკის საქმიანობას და პარლამენტის ბიბლიოთეკის რეკომენდაციებითა და მეთოდური მითითებებით.

6. „ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის“ იურიდიული მისამართია ქ. ონი, დავით აღმაშენებელის ქუჩა № 46.

7. „ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის“ ელექტრონული ფოსტის მისამართია: onisbiblioteka@gmail.com. ტელეფონი - 595 59 04 57.

მუხლი 2. „ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის ფუნქციები და ამოცანები

1. „ონის მინიციპალიტეტის ბიბლიოთეკა“ არის კულტურულ - საგანმანათლებლო, სამეცნიერო - ინფორმაციული დაწესებულება, რომლის მიზანია სრულად და ეფექტურად გამოიყენოს თავისი ფონდები და სხვა საბიბლიოთეკო რესურსი მუნიციპალიტეტის ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, რისთვისაც:

მუნიციპალიტეტის მერი:
ე. სუბანაძე

[illegible] ინფორმაციის [illegible] და სრულ დაკმაყოფილებას მათთვის საჭირო ინფორმაციით [illegible] საბიბლიოთეკო დოკუმენტებით (ბეჭდური, ხელნაწერი და ინფორმაციის შემცველი სხვა მასალები);

ბ) ქმნის ხელსაყრელ პირობებს ყველა ასაკის მკითხველის (შემდგომში მომხმარებელი) საბიბლიოთეკ[illegible] საინფორმაციო და ბიბლიოგარფიული მომსახურებისათვის;

გ) ახდენს ბიბლიოთეკის მომხმარებელთა ინტერესებისა და პროფესიული მოთხოვნების შესწავლ[illegible] ანალიზს, მომსახურებისთვის სათანადო პირობების შექმნის, ინტერესების სრულად და ობიექტურა[illegible] დაკმაყოფილების მიზნით;

დ) განსაკუთრებულ კონტროლზე აყავს ბავშვთა და მოზარდთა საბიბლიოთეკო მომსახურე[illegible] სპეციალური საბავშვო განყოფილებისა და ფონდების შექმნის გზით;

ე) შეიმუშავებს სპეციალურ პროგრამებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოხუცთა და ინვალიდთ[illegible] სპეციალიზებული საბიბლიოთეკო მომსახურებისათვის;

ვ) წიგნით მომსახურების გაუმჯობესების მიზნით გეგმავს მუნიციპალიტეტის იმ დასახლებულ[illegible] პუნქტების საბიბლიოთეკო მომსახურებას სადაც არ ფუნქციონირებს საბიბლიოთეკო ფილიალები;

ზ) აწყობს კულტურულ ღონისძიებებს და შეხვედრებს, სამეცნიერო კონფერენციებს, წიგნის განხილვებ[illegible] და სხვა;

თ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ახდენს საბიბლიოთეკო ფონდების სრულ აღრიცხვას, მი[illegible] გამოთავისუფლებას შინაარსობრივად მოძველებული და ტექნიკურად უვარგისი საბიბლიოთეკ[illegible] დოკუმენტებისაგან;

ი) ზედამხედველობს და მეთოდურ დახმარებას უწევს სასოფლო ფილიალების გამართულ მუშაობას;

მუხლი 3. „ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის“ მართვა

1. „ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის“ საქმიანობას წარმართავს დირექტორი, რომელსაც [illegible] თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს მუნიციპალიტეტის მერი.

2. „ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის“ დირექტორი:

ა) შეიმუშავებს ბიუჯეტის პროექტს და საშტატო განრიგს და დასამტკიცებლად წარუდგენს ონის მუნიციპალიტეტის მერს;

ბ) შეიმუშავებს „ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის“ შინაგანაწესს და დამტკიცებამდე ორი კვირით ადრე გასაცნობად წარუდგენს ბიბლიოთეკის მუშა - მოსამსახურეებს. მუშა- მოსამსახურეების წინადადებები და რეკომენდაციები სავალდებულოა შესასრულებლად დირექტორისთვის, თუ ისინი უშუალოდ გამომდინარეობს მოქმედი კანონმდებლობიდან;

გ)ონის მუნიციპალიტეტის მერის თანხმობით უფლებამოსილია შეიძინოს ან გაასხვისოს „ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის“ ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ძირითადი ქონება;

მუნიციპალიტეტის მერი:

ე.ხუბანაძე

დ)დებს ხელშეკრულებებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან;

ე)მუნიციპალიტეტის მერს წარუდგენს ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ;

ვ) წარმართავს და ორგანიზებას უკეთებს „ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის“ საქმიანობას და პასუხისმგებელია ბიბლიოთეკის საქმიანობის ეფექტურობასა და კანონიერებაზე;

ზ)კანონით დადგენილი წესით განაგებს და განკარგავს „ ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის“ ქონებას და სახსრებს. მასვე ეკისრება პასუხისმგებლობა „ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის“ საკუთრებაში არსებულ ქონებაზე და ფულადი სახსრების მიზნობრივ და სწორ ხარჯვაზე;

თ)იღებს თანამშრომლებს შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით, იღებს გადაწყვეტილებებს თანამშრომელთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ;

ი)კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტებს;

კ)წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად უფლებამოსილია განახორციელოს სხვა მოქმედებები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.

3. „ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის“ სხვა თანამშრომლების უფლება - მოვალეობები განისაზღვრება „ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის“ შინაგანაწესით;

მუხლი 4.“ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკაში“ თანამშრომლების მიღების წესი

1. „ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკაში“ თანამშრომლებს იღებს და ათავისუფლებს დირექტორი, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე ონის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით.

2. ბიბლიოთეკარის თანამდებობაზე მიიღებიან შესაბამისი უმაღლესი ან სპეციალური განათლების მქონე მოქალაქეები.

მუხლი 5. ფინანსური სახსრები

1. „ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის“ ფინანსური წყაროებია:

ა)ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;

ბ)გრანტებითა და შემოწირულობებით მიღებული შემოსავლები;

გ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

მუხლი 6. „ ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის“ ზედამხედველობა

1.“ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის“ მუშაობაზე ზედამხედველობა გულისხმობს განხორციელებული საქმიანობის კანონთან მიზანშეწონილობის, ბიბლიოთეკით მუნიციპალიტეტის მომსახურების ეფექტურობის, საფინანსო - ეკონომიკური სქმიანობის ზედამხედველობას.

მუნიციპალიტეტის მერი:
ე. საბანაძე

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ზედამხედველობას ახორციელებს ონის მუნიციპალიტეტის მერია შესაბამისი სტრუქტურული ერთეულობის მეშვეობით.

3. მუნიციპალიტეტის მერი უფლებამოსილია გამოითხოვოს მასალები და ინფორმაცია, ან შესაბამისი სამსახურის მეშვეობით ადგილზე შეისწავლოს „ონის მუნიპალიტეტის ბიბლიოთეკის“ საქმიანობა.

მუხლი 7.ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის“ რეორგანიზაციას და ლიკვიდაციას, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ახორციელებს ონის მუნიციპალიტეტის მერი მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით.

2. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება სრულად გადადის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში.

მუხლი 8. "ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის" წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

1. „ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის“ წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ონის მუნიციპალიტეტის მერის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუნიციპალიტეტის მერი:
ე. საბანაძე